ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 1761 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 შაბათი, 23 მარტი № 1761

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

მღვდელნი სიმონ და ავქსენტი სახოკიები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 30 მარტს, ს. შხეფში (სენაკის მაზრა) გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

სტუდენტის სამსონ სახოკიასი. (3—3)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

კ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფილდოროვი—შინაგანი და ბავშვთა 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 1—2 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისის, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ქირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვების 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური გამოკვლ.)

ვ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—9 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274 (წ.)

ყვირილის თეატრის ამხანაგობის პირველი მორიგი წლიური კრება დანიშნულია 28 მარტს, საღამოს 5 საათზე, ყვირილის ნორმალურ სკოლის დარბაზში. განსახილველია შემდეგი საგნები: 1) გამგეობის მოხსენება ამხანაგობის მდგომარეობის შესახებ და 2) გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრების ამორჩევა. კრებაზე შეუძლიანთ დასწრება არა წევრთაც.

ამხანაგობის თავმჯდომარე კნ. ვარინკა სპირიდონის ასული **წერეთლისა**. (3—1)

ბათუმში

ამა მარტის 10-დან გაიხსნა პირველ ხარისხოვანი საუკეთესო

სასტუმრო „ორიენტალ“,

რომელიც მოთავსებულია საგანგებოდ აშენებულ სახლში ნავთსადგურის პირდაპირ, ზღვის პირად. სასტუმრო მშვენიერად მოწყობილ-მორთულია; განათება ელექტრონული; ზღვის აბანო; საუკეთესო მზარეული; მოსამსახურენი—თავაზიანი და მარჯვე. **ფასები იაფი** ყველაფერზე. ტელეფონი № 141.

(ნ.15—2) სასტუმროს პატრონი **ე. ზერმენიშვილი**

ექიმი
ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24 **ტელეფონი № 642.**

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

სამეურნეო ბანკის
წლიური
საზოგადო კრება

დანიშნულია კვირას, 24 მარტს, დილის 11 საათზე, ბანკისავე დარბაზში. (ნ.2—1)

სახალხო სკოლის რეფორმა

სწავლა-განათლების სისტემის რეფორმა ჯერ-ჯერობით მხოლოდ საშუალო სკოლას შეეხო. ჩვენს მკითხველებს თავის დროზე ვაწვდიდით ყველა ახალს ამბავსა და ახალს განკარგულებას საშუალო სკოლის რეფორმის შესახებ და მათ იციან დაახლოვებით, რაც გაკეთდა ამ საქმეში და რაც განზრახულია მომავალში. ახლა პეტერბურგის გაზეთებმა მოგვიტანეს ამბავი, რომ ჯერი სახალხო პირველ დაწყებით სკოლაზედაც მიდგა: როგორც გუშინ გვქონდა აღნიშნული, 19 მარტს საერო განათლების სამინისტროში უკვე შეუდგა მუშაობას ის განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა ხსენებულ სკოლის პროგრამისა და სისტემის გადასინჯვა-გაუმჯობესობა. დღეს იმავე გაზეთებმა მოგვიტანეს საზოგადო ცნობები იმის შესახებ, თუ რა განუზრახავს მთავრობას პირველ-დაწყებით სწავლის შეცვლა-გაუმჯობესობისათვის; ეს ცნობები იმდენად საყურადღებოა, რომ საჭიროდ მიგვაჩნია ვაუწყოთ ჩვენს მკითხველთ.

გადაკეთებულ სახალხო სკოლას საგნად ექნება—მიაწოდოს ყველა წოდებათა და სარწმუნოებათა ბავშებს საზოგადო პირველ დაწყებითი სწავლა და აგრეთვე, შეძლებისადაგვარად, სხვა-და-სხვა პრაქტიკული ცოდნა. პრაქტიკულ საგნების შესასწავლად დაარსებულ იქმნება სახალხო სკოლებთან დამატებითი კლასები. ამგვარ დამატებითი კლასების დაარსება იმიტომ უცვნიათ საჭიროდ, რომ, როგორც გამოცდილებამ დაამტკიცა, პრაქტიკულ საგნების სწავლებას ახლანდელ სახალხო სკოლაში სასარგებლო ნაყოფი ვერ მოუტანია. სახალხო სკოლაში დამატებით კლასებს არ დააარსებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში ბაღოსნობის, მებოსტნეობის და მეფუტკრეობის მეტს არას ასწავლიან; ხოლო თუ სხვა საგნებსაც ასწავლიან, მაშინ უთუოდ დამატებითი კლასებიც უნდა დაარსდეს. დამატებით კლასებში მსურველთ, სხვათა შორის, ასწავლიან: ადგილობრივ და უცხო ენებს, ბუჰგალტერიას, კომერციულ არითმეტიკას, პოპულიარულ საექიმო მეცნიერებასა და სხვათ.

ახლანდელ ერთ-კლასიან და ორ-კლასიან სახალხო სკოლებთან ერთად დაარსდა ახალი ტიპი ოთხ-კლასიანის სახალხო სკოლისა, რომელშიაც მოსამზადებელი კლასები აღარ იქმნება და რომელში შესვლის ნება მიეცემა ერთ და ორ-კლასიან სკოლის კურს დამთავრებულთ.

ყველა სახალხო სკოლებისათვის მთელს იმპერიაში გამოიცემა ერთი საზოგადო დებულება; მასში აღნიშნული იქმნება ის განსხვავება, რომელიც შეიძლება შეტანილ იქმნას ზოგან ადგილობრივ პირობათა მიხედვით.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, დიდად საყურადღებოა ის გარემოება, რომ, მთავრობის განზრახვით, მომავალ სახალხო სკოლის პროგრამის შედგენის დროს აპირებენ ყურადღება მიაქციონ „ადგილობრივ განსაკუთრებულ პირობათ“ და იმათ მიხედვით მოახდინონ ზოგიერთი ცვლილებანი იმ ადგილების სკოლებში, სადაც არა რუსნი ცხოვრობენ. აი სიტყვა-სიტყვით ის ცნობა, რომელიც გადმოცემულია რუსულს გაზეთებში ამ გარემოების შესახებ:

„განზრახულია დაბალ სკოლებში, რომელიც დაარსებულია არა რუსთათვის ან არა მართლ-მადიდებელთათვის, სამღვთო სჯული მხოლოდ მოსწავლეთა დედა-ენაზე ასწავლონ; ამის არ ასრულება საერო განათლების სამინისტროს მიაჩნია ადგილობრივ არა-რუსთა მცხოვრებლების უფლების დარღვევად. აგრეთვე განზრახულია არა-რუსთა პირველ-დაწყებით სკოლაში, პირველ წელიწადს, საგნების შესწავლის დროს, იხელმძღვანელონ ადგილობრივის ენით“.

ეს უკანასკნელი გარემოება დიდად საყურადღებოა ჩვენთვის. აქ საინტერესოა პრინციპიალური მხარე, ესე იგი, საერო განათლების სამინისტროს შეხედულება, რომ ადგილობრივი პირობები უთუოდ უნდა იქმნან მხედველობაში მიღებული სახალხო სკოლის პროგრამის შემუშავების დროს. რაკი ეს პრინციპი იქნება აღიარებული, შესაძლებელია პრაქტიკულად საქმე უფრო ფართოდ იქმნას დაყენებული, ვიდრე ზემოდ არის აღნიშნული. ჩვენის ფიქრით, არ იქ-

ფელეტონი

დედობრივი სკოლები საფრანგეთში

წერილი III

სწავლების მეთოდი

ჩვენს წინა წერილებში მკითხველს გავაცანით სარგებლობა დედობრივის სკოლისა, მისი დანიშნულება, გეგმა ასეთის ჯურის სკოლის დაარსება-მოწყობისა, ე. ი. გავაცანით მატერიალური მხარე. ახლა შევეხებით მორალურ მხარეს ანუ მეტოდს, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ სწავლების დროს. ჩვენ უკვე ჩამოვთვალეთ, თუ რა პირობები (ჰიგიენისა და სხ.) იყო საჭირო და სასურველი კარგად მოწყობილ დედობრივ სკოლისათვის. ხოლო ამ წერილში ვეცდებით აღვნიშნოთ ჰიგიენური და თან პრაქტიკულნი საშუალებანი, რომელთა შემწეობით შეგვეძლება ვასწავლოთ ბავშვებს, განვავითაროთ მათი ჭკუა-გონება ისე კი, რომ არ მოვქანცოთ, ხალისი არ დავუკარგოთ.

პირველ ყოვლისა არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქმე გვაქვს სულ ჩჩვილ არსებებთან და კანონად დავიდვათ, რომ ვარჯიშობა,—რა სახისაც უნდა იყოს იგი,—15—20 წუთზე მეტს ხანს არ უნდა გაგრძელდეს გამოუცვლელად, რადგან ყრმათათვის ყოველთ უწინარეს სხვა-და-სხვაობაა საჭირო. მეორედ, მარად გვახსოვდეს, რომ ბავშთათვის მოძრაობა აუცილებელია. უმოძრაოდ გაჩერება ბავშვს ჭირივით ეჯავრება. და როცა ჩვენ ბავშვს უმოძრაოდ ვაჩერებთ, მისის ბუნების წინააღმდეგ ვიქცევით და ასეთის ჩვენის ქცევით ამ პატარა არსებას უსაზღვროდა ვსტანჯავთ, ვსჩაგრავთ და მისს ტანისიმრთელეს ხელის შეწყობის მაგიერ ვაფერხებთ. ამიტომ, სწავლების თანამედროვე მეთოდს აზრადა აქვს: ა) ბავშვი საღს წრეში ჩააყენოს და არ მოაკლოს მოძრაობის თავისუფლება; ბ) თვალ-ყური ადევნოს ბავშვის სხეულის და მისის ტანისამოსის სისუფთავეს; გ) სწავლის საგანი ერთგვარი და ერთფეროვანი არ გახადოს; დ) გააწესრიგოს სიარული და გიმნასტიკა, წინდახედულად თანდათან აწარმოვოს; ე) ამღეროს და ათამაშოს ბავშვები გაშლილს ჰაერზე, რომ აამოძრაოს მათი სხეული, განუვითაროს სხეულის ნაწილები, კუნთები, განამხიარულოს, კარგს გუნებაზე და ტანმრთელად ამყოფოს.

განსაკუთრებული ზრუნვა გმართებსთ სისუფთავისათვის. ამ საგნის შესახებ რაც უნდა ვილაპარაკოთ, მეტი თავის დღეში არ იქმნება. იქ, სადაც ამდენი ბავშვი ერთად თავს იყრის, თუ, ერთი ბეწოც არის, დაუდევრად მოვიქეცით, რამე გადამდებ სენს უეჭველად გავაჩენთ. გარდა ამისა, ყოველი ბავშვი, სკოლაში მოყვანილი, გულდასმით უნდა გაისინჯოს,—სუფთად არის თუ არა; ეს სავალდებულოა არამც თუ ჰიგიენის მხრივ, არამედ ზნეობრივადაც. სისუფთავე, ჩვენის ერთის უდიდეს აღმზრდელის ბრძანებისა არ იყოს, მეტად მომხიბვლელი რამ არის ადამიანისათვის; ისე გვიზიდავს თავისკენ, როგორც უმანკოება და სიფაქიზე სულისა. აღზრდის საქმეში ყოველივე იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ დავაჩვევთ და რა მაგალითს ვუჩვენებთ ბავშვს, სწორედ ისე, როგორც ცხოვრებაში ყოველივე ჩვეულების საქმეა. ამიტომ ვეცადოთ ბავშვს სიყრმითვე ჩავუნერგოთ გულში სიყვარული სისუფთავისა.

ახლა გადავიდეთ თვით სწავლების საქმეზე.

პირველად საჭირო იქმნება, სკოლაში მიღებული ბავშვები მათის ხნოვანობისა და ცოდნის და-კვალად დავყოთ. ესეთი დაყოფა კლასში წესსა და რიგს დაამყარებს. დიდებს, ე. ი., 5—7 წლის ბავშვებს, რომელთაც უკვე იციან რამე ცოტად თუ ბევრად, პირველს განყოფილებაში მოვაქცევთ. საშუალონი ანუ 4—5 წლისანი მეორე განყოფილებაში დასხდებიან. დასასრულ, სულ პატარანი, 3—4 წლისანი, რომელთაც მოძრაობისა, თამაშობისა და ყვირილის მეტი არა იციან-რა, შეადგენენ სულ პატარა განყოფილებას და იმათ ცალკე უნდა ვუგდოთ ყური განუწყვეტლივ. ამის შემდეგ შევადგინოთ პატარა გეგმა იმისა, თუ რა უნდა ვქნათ დილიდან საღამომდე.

დილით ბავშვები სკოლაში მოსვლისთანავე თავს მოიყრიან ეზოში ან გადახურულ ფარდულს ქვეშ, თუ დარი ხელს არ უწყობს. 9 საათს რამდენიმე წუთი რომ უკლდეს, ისე ყველას გაამწკრივებთ, სულ პატარებს წინ დააყენებთ, მოზრდილებს უკან. შეგიძლიათ სიმღერით ფარდულს გარშემო შემოატაროთ და მერე კლასში შეიყვანოთ. კლასში რომ შევლენ, თითოეული განყოფილება ერთმანერთს ჩამოეცლება და თავთავის ალაგს დაიჭერს. საზოგადოდ სწავლას დაიწყებთ რისამე წაკითხვით, რომელშიაც მთელი კლასი იღებს მონაწილეობას. ჯერ მასწავლებელი მსხვილად დასწერს ასოებს დაფაზე. უმცროსი განყოფილება მასწავლებლის დაწერილს კითხულობს; მერე მასწავლებელი გადავა სრულს ფრაზებზე, რომელსაც პირველი (უფროსი) განყოფილება ჰკითხულობს. ამას ენის გატეხა მოჰყვება, თითოეულს ამეორებინებენ სიტყვებს, დაფაზე დაწერილს, პატარა წინადადებებს, რაც კლასში იხმარეს და თან მათს მნიშვნელობას ახსნევინებენ და თან-და-თან სხვა-და-სხვა კითხვებზე გადადიან. რადგან ბავშვები მალე იქანცებიან, ამიტომ კლასიც მალე უნდა შესწყვიტოთ და ნახევარ საათით შეასვენოთ. ამ შესვენების დროს ბავშვები რიგ რიგად ფეხისალაგში უნდა შეიყვანოთ. ბავშვებისათვის ეს საჭიროა და ყოველ შესვენების დროს იგივე უნდა გაიმეოროთ. მერე ისევ დაამწკრივებთ და შემოიყვანთ კლასში.

ნება ურიგო, რომ ჩვენმა პედაგოგებმა ან ისეთმა დაწესებულებამ, როგორიც არის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ისარგებლონ შემთხვევით და მიაწოდონ საერო განათლების სამინისტროს სხვა-და-სხვა მასალა და თავიანთი მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ რა და რა ცვლილების შეტანა იქმნება საჭირო საზოგადო წესდებაში იმ სახალხო სკოლების შესახებ, რომელნიც ჩვენში არიან ან იქმნებიან დაარსებულნი. ეს მით უფრო საჭიროა, რომ თვით სამინისტრო სთხოვს დახმარებას ყველა კომპეტენტ პირებსა და დაწესებულებას.

საზღვარ-გარედ

სამხრეთ-აფრიკა. გაზეთებში, რასაკვირველია, ბევრს ლაპარაკობენ ახლად დაწყებულ მოლაპარაკებაზე ზავის ჩამოგდების შესახებ. მაგრამ, რადგან დანამდვილებით არავინ იცის, თუ საქმე როგორ დაიწყო ან როგორ მიდის, ამიტომ სხვა-და-სხვა გაზეთებში სხვა-და-სხვა ცნობებია. მოგვყავს ზოგიერთი მათგანი.

„ლოკალინცაიგერ"-ის კორესპონდენტის სიტყვით, ბურების დელეგაციის ერთ წევრს უნდა ეთქვას: ბურებმა გადასწყვიტეს დაუთმონ ინგლისელებს კიმბერლეს ოლქი, მაგრამ სამაგიეროდ თხოულობენ სრულ დამოუკიდებლობას და ზულულანდის ნეიტრალიტეტს. 35 ათასი ბური იარაღ ქვეშ არის. დროებითი ზავი მოლაპარაკების გათავებამდე აუცილებელია. ბურებს დიდი იმედი აქვთ უოლსლეისა, რომელიც 31 მარტს უნდა მივიდეს კაპშტადტში.

ბრიუსელის გაზეთებში შემდეგი საინტერესო ქრონოლოგიური ცნობებია დაბეჭდილი: 1 თებერვალი—დოქტორი კნიპერი ეუბნება „გოლუას" კორესპონდენტს, რომ ინგლისის მეფეს ზავი ჰსურს. 15 მარტი—ლორდი უოლსლეი მიდის სამხრეთ-აფრიკაში მეფის კერძო მინდობილობით. 17 მარტი—ბურების საგანგებო მისიის წევრი ფიშერი მიიწვია სათათბიროდ დოქტორ კნიპერმა ერთის მაღალ პირის თხოვნით. 18 მარტი—დოქტორ ლეიდსის ხანგრძლივი თათბირი კრიუგერთან და ფიშერთან. 23 მარტი—ბურების წარმომადგენლების გამგზავრება პრეტორიისაკენ. ერთის გაზეთის კორესპონდენტი ამბობს—ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ 1) ბურები მტკიცედ ადგანან თავიანთ პირობებს; 2) შალკ-ბურგერის პრეტორიაში მოსვლა მოხდა ინგლისის თხოვნით; 3) აფრიკაში მყოფი ბურების მეთაურები არ შეეკვრიან პირობით ინგლისელებს, თუ ევროპაში მყოფ წარმომადგენლების თანხმობა არ იქნება.

დოქტორ ლეიდსს უნდა განეცხადებინოს ბრიუსელში შემდეგი: ბურების სარდლებს სურვილი აქვთ მოლაპარაკება გამართონ ინგლისელებთან ზავის ჩამოგდებაზე, მაგრამ შალკ-ბურგერს უფლება არა აქვს შეუდგეს საქმეს კრიუგერის ნება დაურთველად. ყოველ შემთხვევაში ბურები მხოლოდ მაშინ დაჰყრიან იარაღს, როცა ინგლისელები მიიღებენ შემდეგ პირობებს: 1) ორივე რესპუბლიკების დამოუკიდებლობა ინგლისის პროტექტორატის ქვეშ; 2) სრული ამნისტია აფრიკანდერებისა, რომელნიც ბურებს შემოუერთდნენ; 3) გაუქმება კიტჩენერის პროკლამაციისა, რომლის ძალით ბურების სარდლები უნდა განიდევნონ სამშობლოდან, და 4) აღდგენა ყველა იმ ფერმებისა, რომელნიც ინგლისელებმა დასწვეს.

ავსტრ-უნგრეთი. როცა ავსტრიის პარლამენტში საერო განათლების სამინისტროს ბიუჯეტი იხილებოდა, გერმანელებმა წინადადება შემოიტანეს, რომ ცილეის გიმნაზიის სლოვინური პარალელური კლასები გადაეტანათ მარიბორში. წინადადების მიზანი, რასაკვირველია, ის იყო, რომ ცილეიში სლოვინებს ვერ შესძლებოდათ სამშობლო ენაზე სწავლის მიღება. გერმანელების წინადადება, როგორც ვიცით, პარლამენტმა არ მიიღო. საყურადღებოა ავსტრიელ სოციალ-დემოკრატების ქცევა კენჭის ყრის დროს: სლავინელი დემოკრატები ყველა წინააღმდეგი იყვნენ წინადადებისა და კენჭის ყრაშიაც მონაწილეობა მიიღეს, გერმანელ დემოკრატებმა კი არ მიიღეს მონაწილეობა კენჭის ყრაში.

✡ ამ დღეებში პრაგაში შესდგა ჩეხიის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა კრება. წარმოდგენილ ანგარიშიდან სჩანს, რომ საზოგადოების ხარჯზე ინახებოდა საანგარიშო წელს ხუთი საშუალო სკოლა, ორმოცდა თერთმეტი სახალხო სკოლა და ორმოცდა ოთხი თავშესაფარი ბავშვებისა. გარდა ამისა საზოგადოება დახმარებია ოთხ გიმნაზიას და ოცდა თხუთმეტ სახელოსნო და სახალხო სკოლას. თუ ამას მიუმატებთ ხუთ გიმნაზიას და ოცდა სამს სახალხო სკოლას, რომელიც საზოგადოებამ გადასცა მთავრობას, ცხადია ამ საზოგადოების დიდი მნიშვნელობა ჩეხიისათვის. გასულ წელს საზოგადოებას შემოსვლია 551,198 კრონი. „მატიცის" სკოლებში სწავლობს თექვსმეტი ათასი მოსწავლე.

საფრანგეთი. 13 მარტს საფრანგეთის პალატამ განიხილა პროექტი საარჩევნო მოსყიდვის წინააღმდეგ ზომების შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღო ვალდეკ-რუსსომაც, რომელიც, სამი კვირის ავადმყოფობის შემდეგ, პირველად ამ დღეს მოვიდა პარლამენტში.

პროექტის პირველ მუხლის ძალით, ვინც საჩუქრის ან ფულის საშუალებით მიიმხრობს ამომრჩეველს, მას მოელის დაპატიმრება სამის თვიდან ორ წლამდე და ჯარიმა 200 ფრანკიდან ათასამდე. ამგვარი სასჯელი მოელის მოსყიდულ ამომრჩეველსაც. დეპუტატი გოტიე თხოულობს, რომ ამ კანონს ძალა ექნეს მხოლოდ საარჩევნო ხანის დროს. მაგრამ ვალდეკ-რუსო წინააღმდეგია გოტიეს წინადადებისა და პალატამაც არ მიიღო იგი. პროექტის მეორე და მესამე მუხლიც, რომელიც ამომრჩევლის ძალდატანებასა და შეშინებას ეხება, უცვლელად მიიღო პარლამენტმა. მეოთხე მუხლის ძალით სასჯელი ორკეცდება, თუ დამნაშავე სახელმწიფო სამსახურში არის. წინააღმდეგ ვალდეკ-რუსოს სურვილისა, პარლამენტმა მოინდომა ამ მუხლის სასჯელის კიდევ უფრო გაძლიერება, რისთვისაც იგი პარლამენტს გადაეცა ახალის რედაქციისათვის.

იაპონია. იაპონელ სახელმწიფო მოღვაწეთათვის დიდ საზრუნავ საგანს შეადგენს საკითხი, თუ რა მოუხერხონ მომრავლებულ ხალხს, რომელიც თვით იაპონიაში ვერ ეტევა. მართლაც, იაპონელები მეტის სიჩქარით მრავლდებიან და ამიტომ ცხოვრების პირობები უფრო და უფრო გასაჭირი ხდება. იაპონელი მამოძრავე და ენერგიით სავსეა, იგი მზად არის, ინგლისელსავით, ზღვა და ოკეანე გადასცუროს ბედის საძებნელად, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მას არ უშვებს არც ავსტრალია, არც კოლუმბია, არც შეერთებული შტატები და არც რუსეთი, რომელიც ცდილობს სახალინზედაც აუკრძალოს მას დასახლება. დარჩა ფორმოზა, მაგრამ იქ ჯერ კიდევ მშვიდობიანობა არ დამყარებულა და ამიტომ კოლონიზაციაც ვერ მოიკიდებს მაგრად ფეხს.

ამიტომ არის, რომ იაპონია მთელის თავის ენერგიით მიისწრაფვის კორეასა და მანჯურიისაკენ, ამიტომ არის, რომ იაპონიისა და რუსეთის ინტერესების მორიგება შეუძლებელი ხდება და, ადრე თუ გვიან, ეს ორი სახელმწიფო ერთმანერთს უნდა გაუსწორდნენ.

✡ იაპონიის დაწინაურებამ და ინგლის-იაპონიის კავშირმა დიდი გავლენა იქონია სიამის სახელმწიფოზედაც. როგორც ვიცით, სიამი მომწყვდეულია ინგლისისა და საფრანგეთის სამფლობელოებს შორის. განსაკუთრებული შიში სიამს საფრანგეთისაგან მოელის. ამიტომ იყო, რომ სიამის იმპერატორი დიდი ხანია სცდილობს დაუკავშირდეს ტომით მონათესავე და ერთმორწმუნე იაპონიას. იაპონია ერთხანს ვერ ბედავდა, საფრანგეთისა და ინგლისის მორიდებით, სიამთან დაახლოვებას. პირიქით, საფრანგეთის გულის მოსაგებად მან სიამში მცხოვრები თავის ქვეშევრდომები საფრანგეთის საელჩოს შეაფარა 1897 წელს. მაგრამ სიამის იმპერატორის მდივნის მეცადინეობით იაპონიამ მალე დანიშნა ბანგკოკში (სიამის სატახტო ქალაქია) საკუთარი ელჩი. რასაკვირველია, სიამმაც გაგზავნა თავისი წარმომადგენელი ტოკიოში. ამ დროიდან იაპონიასა და სიამს შუა მეგობრული განწყობილება თანდა-თან იზრდება. სიამი მხნევდება იაპონიის ამ მეგობრობითა და მაგალითით, წელში იმართება და ღონიერდება.

როგორც ვხედავთ, იაპონია თანდათან ასრულებს თავის დანიშნულებას—იგი აღვიძებს და ძალას აძლევს მიძინებულსა და ევროპისაგან დაჩაგრულ აზიას. ტყვილა როდი დაჰკრეს ბუკი და ნაღარა საფრანგეთის გაზეთებმა, როცა სიამისა და იაპონიის დაახლოვება შეიტყეს: დიდი შორს გამჭვრეტელობა არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ საფრანგეთის სამფლობელო ეგრედ წოდებული ინდო-ჩინეთი საშიშ (საფრანგეთისათვის) მდგომარეობაში ჩავარდება იმ დღეს, როცა სიამი გაღონიერდება და სიამისა და იაპონიის ზედ-მოქმედებით გათვითცნობიერდება ინდო-ჩინეთის მკვიდრი.

ახალი ამბავი

◆ შინაგან საქმეთა მინისტრმა ტელეგრაფით აცნობა მთავარ-მართებელს თავად გოლიცინს, რომ ხელმწიფე-იმპერატორმა 18 ამა მარტს უმაღლესად ინება: 1) კავკასიის მთავარ-მართებელს მიეცეს ნება, ადგილობრივ საბოლოოდ გადასწყვიტოს ყველა კითხვები და ზომათა მიღება, რაც კი შეეხება ქალაქ **შამახის აღდგენას** და მახლობელ სოფლების მოწყობას, რომელნიც მიწის ძვრისაგან დაზარალდნენ 31 წარსულ იანვარს; 2) დროებით შეჩერებულ იქმნას შემახიაში ქალაქის დებულება 1892 წლისა; 3) გაუქმდეს იქ აწ-არსებული ქალაქის საზოგადო მმართველობა; 4) ქალაქის სამეურნეო საქმეების წარმოება დროებით მიენდოს შემახიის მაზრის საპოლიციო სამმართველოს, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ქალაქის საზოგადოების ორმა დეპუტატმა წესდების ძალით; 5) უფლება მიეცეს კავკასიის მთავარ-მართებელს, აღადგინოს შემახიაში საქალაქო დებულება 1892 წლისა, როდესაც საჭიროდ დაინახავს, და 6) გაანთავისუფლონ ქალაქი შემახია სახაზინო გადასახადისაგან პოლიციის შენახვის გამო, სულ 3,680 მანეთისაგან წელიწადში და სხვა ხარჯებისაგან; ქალაქის პოლიციის შენახვისათვის სამხედრო სახლების ბეგარის ხარჯი აკისრონ სახელმწიფო ხაზინას, ვიდრე შემახიაში აღდგენილ იქნება ქალაქის დებულება 1892 წლისა („კავკაზ.").

◆ **შავი-ზღვის ნაპირა რკინის გზის შესახებ** შემდეგ დაწვრილებით ამბავს ვკითხულობთ „ნოვ. ვრემია"-ში: „ვლადიკავკავის რკინის გზის საზოგადოება მოკლე ხანში შეუდგება საბოლოო გამოკვლევას იმ ადგილებისას, სადაც გაივლის შავი-ზღვის ნაპირა რკინის გზა, და აგრეთვე დაიწყებს მზადებას, რათა ახლო მომავალში გზის კეთებას შეუდგეს. ახალი რკინის გზა დაიწყება ვლადიკავკავის რკინის გზის სადგურ ენემიდან, გაივლის ტუაპსეზე, სოჩზე, ადლერზე, გაგრზე, სოხუმზე და შეუერთდება ამიერ-კავკასიის რკინის გზებს ახალ სენაკში. ახალ გზას შტოც ექმნება მაიკოპზე, საიდანაც შემდეგში გზას გააგრძელებენ სადგურ არმავირამდე. სულ ახალი გზის სიგრძე იქნება 510 ვერსტი და მისი გაკეთება დაჯდება 50 მილიონ მანეთზე მეტი.

◆ „კავკაზ"-ს გაუგონია, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქს აღუძრავს კითხვა, ოლქის განკარგულებაში გადავიდეს მთელი **სამოსწავლო ნაწილი** ტფილისის ქალაქის სახელოსნო სასწავლებლისა.

◆ ფინანსთა სამინისტრომ დაავალა კავკასიის **საფაბრიკო-საქარხნო** ინსპექციას, შეეცადოს საქმის მოწყობას ისე, რომ მომავალ ზაფხულში ინსპექციას სწორედ შეეძლოს მოქმედება.

თვალსაჩინო გაკვეთილები ყველაზე მეტადართობს ბავშვებს, ჭკუა-გონებას ულვიძებს. ამ გაკვეთილებს კლასში დაკიდებულ სურათების საშუალებით აძლევენ, ან და კიდევ ამისთვის თვითონ მასწავლებელს მოაქვს ნიმუშები: პურის თავთავი, ყვავილი, მწერი რამე. მეორე დღეს მასწავლებელი პატარა ამბავს მოუთხრობს ბავშვებს და მერე თავის ნათქვამს ამეორებინებს. ყველას თითო რასმე ჰკითხავს, და ეს კი ბავშვებს იძულებულ ჰყოფს, ყურადღებით იყვნენ. თან მასწავლებელიც რწმუნდება, რომ მისმა მსმენელებმა ამბავში გამოხატული პატარა გაკვეთილი ზნეობისა გაიგეს თუ არა.

დილის სწავლა 12-ის ნახევარზე უნდა გათავდეს. საუზმესაც ამ დროს აჭმევთ ბავშვებს. პარიზში, სადაც დედობრივი სკოლები სამაგალითოდ არის მოწყობილი, საუზმის შესახებ აი რა წესია დამყარებული: ყოველს სკოლას თავისი სამზარეულო აქვს, მის გვერდით სასადილო ოთახია, სადაც დადგმულია ხის გრძელი მაგიდები, რომელთაც შემომწკრივებული აქვს გრძელივე ხის მერხები. მაგიდებზე აწყვია თუნუქის ჯამები, მაგარი ჭიქები და კალას დანა-ჩანგალი. თითოეულს ბავშვს დილით სკოლაში თან მოაქვს პატარა კალათაში ჩალაგებული პური, ხელსახოცი, რამე ხილი ან ყველის ნაჭერი. და თუ მშობლებს შეუძლიათ, ათ სანტიმსაც (ოთხ კაპიკს) გამოატანენ. ამ ფულად ბავშვს სკოლაში აძლევენ ცხელს წვენს ხორცისას ან მწვანილისას, ერთ ნაჭერ ხორცს, მოხარშულს ბოსტნეულს: ლობიოს ბრინჯს, მიწავაშლას ან სხ. რასმე, სასმელად გადადუღებულს წყალს. ვინც ღარიბია და ყოველ დღე არ შეუძლია თავისს შვილს ათი სანტიმი მისცეს, ითხოვს სკოლაში და მისს შვილს უსასყიდლოდ აჭმევენ. საუზმეს ესწრება მასწავლებელი ქალი და ამ წვრილფეხობას თვაყურს ადევნებს ნასაუზმევს იქვე ხელ-პირის საბანთან ბავშვები თავიანთს პაწია ხელპირს დაიბანენ და ნაშუადღევის პირველ საათამდე ისვენებენ.

პირველი საათი რომ შესრულდება, დასვენებული ბავშვები კლასში შევლენ. მასწავლებელი ქალი ყველას საერთოდ თვალს გადაავლებს—ხომ ყველანი სუფთად არიან, ფეხები ხომ არავის დაპსველებიათ და სხ. ჯერ შეუდგებიან იმის წერას, რაც დილას იქმნა წაკითხული. პატარეები თავიანთს დაფებზე ხაზავენ იმ ასოს, რომლის სახეს მასწავლებელი დიდ საკლასო დაფაზე გამოიყვანს; უფრო დიდები მთელს ფრაზებსა სწერენ, დილას რომ წაიკითხეს. სანამ სხვა საქმეზე გადავიდოდნენ, საჭიროა მათი პაწია ჭკუა-გონება ცოტათი მაინც გაართოთ, რომ მერე უფრო გულ-მოდგინედ იმუშავონ. ამისათვის მიჰმართავთ სხვა-და-სხვა მოძრაობას, რომელსაც მათ ხელებით აასრულებინებთ. ეს მოძრაობა სახალისოცაა და კეკელაც, ან ერთად ამღერებთ,—სიმღერასავით ხომ არაფერი უყვარსთ ბავშვებს და სრულიად გაუჭირვებლადაც სწავლობენ.

უკვე 2 საათია. მასწავლებელი ბავშვებს ურიგებს ფრებელის მიერ შემოღებულს ხის პატარა ჩხირებს, რომელთაც 25 სანტიმეტრი სიგრძე აქვსთ და ადვილადაც ილუნებიან. ამათის შემწეობით ბავშვები სთვლიან, სწავლობენ მიმატებას, გამოკლებას და სხვ.; მეორე დღეს უფრო პატარა ჩხირებს ურიგებენ, მათის შემწეობით გამოჰყავსთ გეომეტრიის ფიგურები, მეტად სადა, მაგ.: ოთხკუთხედი, სწორ-კუთხედი, სამ-კუთხედი და სხ. როცა ბავშვი თითონ თავის ხელით აკეთებს, ყოველსავე ამას უკეთესად გაიგებს.

სამის ნახევრიდან სამ-საათამდე ე. ი. ნახევარ საათი ისვენებენ და სწავლას დილასავით შესწყვეტენ.

3—4-მდე ხელ-საქმე და ხატვაა.

აი ამ დროსაა, რომ იყენებენ იმ პატარა ნივთებს, რომელნიც ფრებელის მეთოდის მიერ ისე მოწონებულნი არიან სახმარებლად. პატარა ქალებსა და ვაჟებს 6—7 წლამდე თითქმის ერთი და იგივე გემოვნება აქვსთ, ასე რომ ორთავე შეუძლიათ გააკეთონ პატარ-პატარა ხელ-საქმე, რომელიც ორსავე ხელს ერთად ავარჯიშებს, ბავშვს უვითარებს აზროვნობას და იძულებულ-ჰყოფს იანგარიშოს ხოლმე.

სულ პატარები ქაღალდსა სჭრიან თითის ფრჩხილებით—როგორცა ჰხედავთ, საშიში არაფერია, რომ ხელი გაიჭრან! საშუალონი ჰკეცავენ და ჰსწნავენ ფერად-ფერად ქაღალდების ნაჭრებს; სულ დიდებს სხვა-და-სხვა სახეები გამოჰყავსთ ჩალითა და მძივებით, ჩალასა და მატყლის ძაფს ერთმანეთში აწნავენ.

4 საათზე ერთს იმღერებენ და კლასიც გათავდება.

თუ მშობლები შინ არიან, ბავშვი სკოლიდან შინ მიდის. თუ არა და 6 საათამდე სკოლაშივე რჩება. ასეთ ბავშვებს ყურს ერთ-ერთი მასწავლებელი ქალი უგდებს. თუ კარგი დარია, ბაღში თამაშობენ, ავდარში კი ფარდულს ქვეშა რჩებიან, სადაც მასწავლებელი სხვა-და-სხვა თამაშობას ასწავლის, ჩააბმევინებს ფერხულს, გიმნაზტიკას აკეთებინებს და სხვ.

მასწავლებელს წინ-და-წინვე უნდა ჰქონდეს დრო განაწილებული. თან საკლასო დღიურში ყოველ საათს ჩასწეროს ხოლმე, თუ რა გააკეთებინა ბავშვებს, რომ ყოველდღე სხვა-და-სხვა რამე ასწავლოს და სხვა-ნაირად ავარჯიშოს ხოლმე.

დასასრულ, კიდევ გავიმეორებ, რომ მასწავლებელისათვის აუცილებლად საჭიროა: სიტკბოება, გულ-კეთილობა, თანაც დარბაისლობა. უნდა ეცადოს ყველასთან ალერსიანი იყოს, როგორც ნიჭიერთან, ისე უნიჭოსთან, როგორც შეძლებულთან, ისე ხელმოკლესთან; საჭიროა, რომ თავისი მასწავლებელი ყველას და განსაკუთრებით ღარიბ მოწაფეთ ისე მიაჩნდეთ, როგორც მეორე დედა, დარბაისელი და კეთილი. მისი ხსოვნა სამუდამოდ უნდა დარჩეს მათს პატარა გულში.

ფრანგის ქალი.

◆ ყრუ-მუნჯთა ტფილისის განყოფილების სამზრუნველომ თხოვნით მიჰმართა ქალაქის გამგეობას ხელის მოწერა გახსნას შემოწირულებათა, რომელიც მოხმარდება **ყრუ-მუნჯთა სკოლის** გახსნას ამ წელში.

◆ 20 მარტს ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსმა ინჟინერმა ივანოვსკიმ შეჰკრიბა მატარებლების ყველა **რევიზორები** და ხანგრძლივ საუბარში განუმარტა მათი უმთავრესი მოვალეობანი. ივანოვსკის აზრით, მატარებლების რევიზორებს სხვა არავითარი დავალება არ უნდა ჰქონდეთ, გარდა მატარებლების კონტროლისა. იმათ თვალ-ყური უნდა ადევნონ, რომ კონდუქტორებმა უბილეთო მგზავრები არ ატარონ, და ამასთანავე ვალდებულნი არიან გამოიკვლიონ ხოლმე ყოველივე უკმაყოფილება მგზავრთა და მატარებლის მოსამსახურეთა შორის, იზრუნონ ყველა მგზავრს შესაფერი ადგილი ჰქონდეს და თუ საჭიროება მოითხოვს, მეტი ვაგონის მიბმა მოითხოვონ. სხვა-და-სხვა მინდობილებანი, რომლებსაც აქამდის მოძრაობის რევიზორები მიანდობდნენ ხოლმე მატარებლების რევიზორებს, ამის შემდეგ მოისპობა და მატარებლების რევიზორები იქნებიან პირ-და-პირ მოძრაობის უფროსის და გზების უფროსის განკარგულებაში. ამასთანავე ბ. ივანოვსკიმ აღნიშნა მგზავრების შემავიწროებელი წესდება იმაზე, რომ პირველი და მეორე კლასების კუპეებს მხოლოდ მაშინ აღებენ, როდესაც სხვა კუპეები ივსებიან მგზავრებით, ე. ი. ვიდრე ერთ კუპეში ოთხი მგზავრი არ მოიკრიბება, სხვა დანარჩენი კუპეები დაკეტილია. გზების უფროსმა განკარგულება მოახდინა, ერთ დროს იღებოდეს ყველა კუპეები და მგზავრებს ნება ჰქონდეთ, სადაცა ჰსურთ, იქ დაიჭირონ ადგილი.

◆ 21 მარტს, საღამოს, ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ჰქონდა ტფილისის საქალაქო **სასწავლებელთა გამგე-კომისიას.** სხვათა შორის, კომისიამ განიხილა მოხსენება იმის შესახებ, თუ რითი აღნიშნონ 50 წლის შესრულება რუსეთის გამოჩენილ მწერლის ჟუკოვსკის გარდაცვალებიდან. კომისიამ გადასწყვიტა—მომავალ აპრილის 23-ს, დილის 11 საათზე, გადაიხადონ საერთო პანაშვიდი, რომელსაც უნდა დაესწრნენ ქალაქის თვით-მმართველობის მოხელენი, საბჭოს ხმოსნები, ქალაქის სასწავლებლების მასწავლებელ-მოსწავლენი და სხვანი. კომისიამ აგრეთვე გადასწყვიტა იშუამდგომლონ ტფილისის საბჭოს წინაშე გადაიდვას 200 მანეთი, რომლითაც შეიძინონ სურათები და თხზულებები ჟუკოვსკისა ქალაქის სასწავლებელთა მოსწავლებისათვის დასარიგებლად.

◆ ამას წინად გვქონდა აღნიშნული, რომ ქ-ნი მ. ი. დემურიასამ შუამდგომლობა აღძრა ტფილისის სასწავლებელთა გამგე კომისიის წინაშე,—რამე დახმარება აღმოუჩინეთ ჩუღურეთისა და ნაძალადევის საკვირაო სკოლებსაო. ეს შუამდგომლობა კომისიამ განიხილა გუშინ-წინ, 21 მარტს, და გარდასწყვიტა ორთავე საკვირაო სკოლას ქალაქის საშუალებიდან 100 მან. მიეცეს.

◆ ამავე სხდომაზე კომისიამ გარდასწყვიტა 300 მან. შემწეობა აღმოუჩინონ ტფილისის **ებრაელთა საქველ-მოქმედო სკოლას.**

◆ ამ დღეებში ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიას თავის მოქმედების ანგარიში წარუდგინა **სასწავლებელთა მკურნალმა** ბ. ქალანთარმა. წარსულს 1901 წლის განმავლობაში მას საექიმოდ ჩაბარებული ჰქონია ქალაქის 10 სასწავლებელი 1158 მოსწავლით. წლის განმავლობაში ექიმისაგან მოსწავლეებს საექიმო დახმარებით უსარგებლიათ 1997-ჯერ. გადამდებ სენით ავად ყოფილა: ყელ ჭირვებით 4 ბავშვი, მუცელათი 3, ხუნაგით—1 და სხვა-და-სხვა სენით 7. ექიმს გაუსინჯავს 722 მოსწავლე, რომელთაც სხვა-და-სხვა ავადმყოფობა ჰქონიათ თვალისა, ყურისა და სხ. როგორც ექიმი აღნიშნავს, უმთავრესად ავადმყოფობა ყოფილა გაცივებისაგან, რადგანაც მოსწავლეთა უმრავლესობას, სიღარიბისა გამო, თბილი ტანისამოსი და ფეხ-საცმელები არა ჰქონიათ.

◆ გუშინ, 22 მარტს, ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზე, ნიკოლოოზის ხიდზე შემდეგი **უბედურება დატრიალდა:** იქიდან, სადაც ახლა ხიდის ტროტუარს აკეთებენ, მტკვარში გადავარდა ახალგაზდა ქალი ოლღა ტატიშვილისა. დედამ, რომელიც ქალთან ერთად მიდიოდა, ბევრი იყვირა, და ქალიც ებრძოდა ტალღებს და ყვიროდა „მიშველეთო“, მაგრამ საცოდავი ველარავინ გადაარჩინა. იმ დროს, როდესაც ქალი ხიდიდან ვარდებოდა, ერთ გიმნაზიელს წაუვლია კაბაში ხელი, მაგრამ ველარ შეუკავებია.

◆ ტფილისის საბრეშუმო სადგურის გამგემ მისწერა ამ დღეებში მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის რწმუნებულს, რომ განჯის გუბერნიაში **თუთის ხეების** სანერგეების საქმის მოსაწყობად გაიგზავნება საბრეშუმო სადგურის სამეურნეო ნაწილის გამგე ბ-ნი პრილიპკო.

◆ ამას წინად აღნიშნული გვქონდა, რომ განჯის გუბერნიაში კრება ჰქონდათ მაზრის უფროსებს იმის გამოსარკვევად, თუ როგორ მოეწყოს აღნიშნულ გუბერნიაში თუთის ხის სანერგეები, რათა ხელი შეეწყოს აღნიშნულ გუბერნიაში **მეაბრეშუმეობის** წარმატებას. გუშინ-წინ ტფილისის საბრეშუმო სადგურის უფროსმა მიჰმართა მიწად მოქმედების სამინისტროს კავკასიის რწმუნებულს გაიგზავნოს განჯის გუბერნიის 25 სოფელში თუთის ხის სანერგეების გასაშენებლად 3000 თუთის ხის ნერგი, და 300 გირვანქა თუთის ხის თესლისა. სანერგეების მოწყობა დაევალება საბრეშუმო სადგურის ერთ-ერთ მეაბრეშუმე-სპეციალისტს

◆ ხუთშაბათს ექიმმა სობოლევსკიმ, ქალთა პირველ გიმნაზიის ადმინისტრაციის თხოვნით, ხსენებულს გიმნაზიაში წაიკითხა რეფერატი თავის **მოგზაურობაზე აფრიკაში,** შავი ხალხის და იმათი ყოფა-ცხორების აღწერა, რამაც დიდად ასიამოვნა დამსწრე შეგირდი-ქალები და გამოიწვია იმათი გულწრფელი ტაშის კვრა.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს განკარგულებით, სტავროპოლის გუბერნიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ამ დღეებში გაეგზავნა 3000 ფუთი კვიპაროზი ვენახების წამლობისათვის.

◆ 21 მარტს სხდომა ჰქონდა სასანიტარო-საექიმო საბჭოს, რომელზედაც აღძრეს კითხვა **რძის და რძის ნაწარმოებზე** თვალყურის გდების შესახებ. საბჭომ დაადგინა ამაზე გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი. ეს დადგენილებანი შეეხებიან როგორც სადგომის სისუფთავეს, სადაც რძე ისყიდება, ისე ჭურჭელს, მოწყობილობას დუქნისას, ხალხს, რომელიც რძით და რძისგან გაკეთებულის სხვა-და-სხვა საჭმელით ვაჭრობს; აგრეთვე დიდი ყურადღება მიექცევა იმ პირუტყვთაც, რომელნიც რძეს იძლევიან: ძროხებს, კამეჩებს, თხებს, ცხვრებს და სხვა, რომ რამე ჭირი არა სჭირდეთ ამ პირუტყვებს. ამ საქმის გამო ინიშნება სასტიკი კონტროლი.

◆ რამდენიმე ხანია, სასანიტარო-საექიმო გამგეობამ შეადგინა კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა **კალბასის და ძეხვის** დუქნების დათვალიერება. ამ დათვალიერების დროს კომისიამ აღმოაჩინა, რომ კოვტუნენკოს მაღაზიაში (მიხ. ქუჩაზე) ჰყიდიან კამბეჩის ხორცის კალბასებს და ძეხვებს. ამაზე კომისიამ ოქმი შეუდგინა კოვტუნენკოს და წარუდგინა სასანიტარო-საექიმო საბჭოს.

ცხადია, რომ კოვტუნენკოს კამბეჩის ხორცის კალბასის გასაღება უფრო ხელს აძლევს, რადგანაც კამბეჩის ხორცი გირვანქა 6 კაპეიკია, ღორისა კი—12 კაპ.

◆ ერევნის ქალაქის გამგეობას გამოუგზავნია ორი კაცი—ავეტისოვი და გევორქოვი, რომლებიც **ცოფიან ძაღლს დაუკბენია.** ეს ავადმყოფები პასტერის სადგურზე გაგზავნეს საწამლებლად.

◆ **საკლავი საქონლის მორეკვამ** ქალაქის საყასბოში თან-და-თან იმატა. ამ ბოლო დროს ყოველ-დღე მოერეკებიან 150-დან 170-მდე სულს საქონელს.

◆ ბ. კონსტ. პოლუმორდვინოვი უღრმეს მადლობას უცხადებს ყველა იმ პირთ (სულ 90-მდეა), რომელთაც კეთილ-ინებეს და თავიანთი წვლილი შესწირეს სიღნაღის საქალაქო სასწავლებლის მოწაფეთა სამუსიკო დასის სასარგებლოდ. სულ შეგროვდა 74 მან. 60 კაპ., რომელიც უკვე გადაეცა ხსენებულ სასწავლებლის ინსპექტორს.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის 305 ვერსტის გზის ასაქცევიდან იუწყებიან, რომ 21 მარტს ვიღაც ბოროტ-მომქმედნი შეუცვივდნენ სახლში ტელეგრაფისტებს, წაიღეს ტანთსაცმელი, სანადირო თოფი და პატრონტაში; ამასთანავე სუბუქად დასჭრეს მარცხენა ხელში ტელეგრაფისტი ბაგარიძე(?) და შემდეგ მიიმალნენ ბოროტ-მოქმედნი.

◆ სადგურ შაქარლიდან იტყობინებიან, რომ 22 მარტს, საღამოს შვიდ საათზე, როდესაც სახალხო მატარებელი № 9 მოუახლოვდა მწვანე დისკს, სამი შეიარაღებული თათარი თავს დაეცა მორიგ მეისრეს, წაართვეს სანიშნებელი ღოროტოტო, სემაფორის მართული გაწყვიტეს, ხანჯლებით აშინებდნენ, ხმა არ ამოიღოვო; მეისრეს წაართვეს ვერცხლის საათი, ხუთი მანეთი ფული და მიიმალნენ.

ქუთაისის ახალი ამბები

∽ 20 მარტს, საოლქო ინჟინერის ცეიტლინის თავმჯდომარეობით, მოხდა საგანგებო საზოგადო კრება შორაპნის მარგანეცის მრეწველთა. კრებას განსახილველი ჰქონდა ორი საგანი: 1) არჩევა ორის წარმომადგენელისა მრეწველთაგან საფაბრიკო-საქარხნო საქმეთა საკრებულოში და 2) გაგზავნა სპეციალისტისა ბრაზილიაში იქაურის მარგანეცის მრეწველობის შესწავლისა და გამოკვლევისათვის.

საგანგებო კრებამ მრეწველთა წარმომადგენლებად ხსენებულს საკრებულოში აირჩია: გ. ფ. ზდანოვიჩი და თავ. ი. გ. აბაშიძე. ხანგრძლივი კამათი და დავიდარაბა გამოიწვია მეორე საკითხის განხილვამ.

საქმე ასე იყო: მიწად-მოქმედების მინისტრს მარგანეცის მრეწველთა საბჭომ სთხოვა—ნება მოგვეცით განვიხილოთ საგანგებო კრებაზე საკითხი იმის შესახებ, რომ გადადებულ იქმნას მრეწველთა კრების საშუალებიდან ფული ბრაზილიაში სპეციალისტის გასაგზავნად. ამის თანხმობა სამინისტროსაგან მოვიდა. კრების თავმჯდომარემ, ბ. ცეიტლინმა, როდესაც ჯერი მიდგა ხსენებულ საკითხის განხილვაზე, განაცხადა—კრებას ნება არა აქვს აღნიშნოს—ვინ იქნება, სახელდობრ, ბრაზილიაში გაგზავნილი; მან მხოლოდ ფულის გადადება უნდა გარდასწყვიტოსო. კრება-კი თხოულობდა გასაგზავნ სპეციალისტის დასახელება-არჩევას. თითქმის მთელი დღე მოანდომეს ამის გამო სჯაბაასსა და კინკლაობას. ბოლოს საქმე გადაწყდა ასე: სპეციალისტი აღნიშნა თვით კრების საბჭოსა და არჩეულ 5 მრეწველთა შეერთებულმა სხდომამ. ამ სხდომაზე დასახელებულ იქმნენ ბრაზილიაში გასაგზავნად: პროფდებონი, სამთო ინჟინერი გ. დეკანოზიშვილი და სხვები: ხმის უმრავლესობით არჩეულ იქმნა ბ. დეკანოზიშვილი, რაც კრებამაც დაამტკიცა. დასასრულ გადაწყდა ფულის გადადების საქმეც: კენჭი უყარეს ორ საკითხს—5000 იქმნას გადადებული თუ 3500 მან. კრებამ, 31 ხმით, წინაამდეგ 22-სა, დაადგინა ხსენებულ გაგზავნისათვის გადაიდოს 5000 მანეთი.

რუსეთის ქრონიკა

∝ პეტერბურგის უნივერსიტეტის მმართველობა აცხადებს, რომ ვისაც ჰსურს წელს დაიჭიროს კურს გასათავებელი ეგზამენი უნივერსიტეტში, თხოვნა უნდა წარადგინოს სამოსწავლო ოლქის სამზრუნველოში 8 აპრილამდის. თხოვნასთან ერთად უნდა იყოს საჭირო დოკუმენტები და აგრეთვე ადმინისტრაციისაგან მოწმობა კარგის ყოფაქცევის შესახებ.

∝ სამხედრო-საექიმო აკადემიას პეტერბურგში ბევრი ეკითხება იმის შესახებ, მიიღებენ თუ არა წელს აკადემიაში გიმნაზიელებთან და რეალისტებთან ერთად სემინარიელებსაც. „ნოვ. ვრ.“-ს სიტყვით, ყველა სემინარიელებს უარს უცხადებენ მიღებაზე.

∝ სახალხო კრედიტის საქმის მოსაწესრიგებლად ფინანსთა სამინისტროში განსაკუთრებული კომისია დაარსდა, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

∝ საპატიმროთა უმთავრეს მმართველობას განზრახვა აქვს გააძლიეროს საპატიმროებში შინა-მრეწველობა და ხელოსნობა. ამის განსახორციელებლად დაარსდა კომისია, რომელიც იკვლევს ახლა საკითხს, რა და რა დარგი მრეწველობისა უფრო უმჯობესი იქნება გავრცელდეს პატიმართა შორის.

∝ უწმ. სინოდს ყურადღება მიუქცევია, რომ ზოგიერთ ეპარქიებში ნაკლები კონტროლი არსებობს მღვდლების ქადაგებაზე ეკკლესიებში; ზოგან მხოლოდ აღნუსხავენ, რომ მღვდელმა ამდენი და ამდენი ქადაგება წარმოსთქვაო და იმის შესახებ-კი არაფერი ცნობა არ არის, რა საშინაარსის იყო ქადაგება. ამიტომ სასულიერო უწყებას ებრძანა თითოელ ეპარქიის საბლაღოჩინო რჩევაში არჩეულ იქმნას ქადაგებათა და მოძღვრებათა განსაკუთრებული ცენზორი ყოველ საბლაღოჩინოსთვის ცალკე, რომელმაც თავის საცენზურო მოვალეობა უნდა აღასრულოს, თანახმად სასულიერო კონსისტორიების წესდების მე-9 და მე-12 მუხლებისა.

∝ დღემდის იმ სემინარიელებს, რომელნიც 2 კლასი არ ჰქონდათ გათავებული და მოისურვებდნენ სამხედრო სამსახურში შესვლას თავისუფალ—ჯარის-კაცად, ეგზამენი უნდა დაეჭირათ ან გიმნაზიასთან ან რეალურ სასწავლებელთან. ახლა უწმ. სინოდმა ნება დართო, რომ ხსენებულ სემინარიელებს ეგზამენი სემინარიაშივე დააჭერინონ და მისცენ მოწმობა სამხედრო სამსახურში შესვლისა.

∝ პეტერბურგის გაზეთები ბევრისათვის სასიამოვნო ამბავს იტყობინებიან: უმაღლეს მთავრობას განზრახვა აქვს სრულიად გაანთავისუფლოს სადგომის გადასახადისაგან ისინი, ვინც 35 მანეთზე ნაკლებ ქირას იხდის სადგომში. ეს განზრახვა აიხსნება იმითიო, სწერენ გაზეთები, რომ გამოცდილებამ აღმოაჩინა —ხელ-მოკლე მოქალაქენი ვერ იხდიან სადგომის გადასახადს და მთელს რუსეთში დიდ-ძალი ნედოიმკა მოგროვდა მათზეო.

∝ შინა-მრეწველობის მოღვაწეთა კრებამ პეტერბურგში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია წვრილ კრედიტის საქმის გაუმჯობესებას. კრებამ შეიმუშავა პროექტი მარტივ სახალხო საკრედიტო ამხანაგობისა, რომელნიც იმოქმედებენ სახელმწიფო ბანკის დახმარებითა და ზედამხედველობით. პროექტი მალე წარედგინება ფინანსთა სამინისტროს და შემდეგ, თუ ამ უწყებამ მოიწონა,—სახელმწიფო საბჭოს.

წერილი ქვემო იმერეთიდან

(სოფლის ავ-კარგი)

იმედიანი შიმშილიც კარგიაო, ამბობენ და ასე სწორედ ჩვენ გვემართება წელს შარშანდელი წელიწადის გადამკიდე. ჯერ გამუდმებულმა წვიმებმა და მერე ქარ-სიცხემ შარშანდელი ჩვენი ჭირნახული წლის მოსავალი ღვინისა და სიმინდისა ხელიდან გამოგვაცალა და დაგვრჩით მარტო იმედის ამარა. განსაკუთრებით ეს ასე მოხდა მთაგორიან ქვემო იმერეთში, სადაც აქამდი ცოტა ღვინის მოსავლით მაინც იბრუნებდა სულს ჩვენებური მუშა-კაცი. დღეს კი აღარც ღვინო მოეძებნება გასაყიდი და ბეღელშიაც თაგვები დარიხინობენ. არ იცის კაცმა, რით გაიტანს თავს ახალ მოსავლამდი, თუმცა მანამდი ჯერ დიდი დროა. ჩვენკენ ჰურს ნაკლებად თესავს ხალხი და სიმინდი ხომ მწიფობისთვის დამლევამდიაც არ შემოვა. რით გამოიკვებოს თავი, რა საშუალებით იყიდოს სიმინდი, რით გაუძღვეს ათას გვარ მოთხოვნილებას და ოჯახს, აი რა აფიქრებს დღეს ჩვენი სოფლის მუშა-კაცს. თუმცა საზოგადოდ ჩვენში ყველგან ხელვიწროობაა, ან, როგორც ფულის პატრონები იტყვიან ხოლმე, ქესატობაა, მაგრამ ჭირს როგორმე უნდა გაუძლოს კაცმა ხვალის იმედით და იყიდოს სიმინდი. ყიდულობს კიდეც ზოგი შემოდგომიდანვე და ზოგიც ახლა უნდა დაფაცურდეს. მაგრამ მე არა მგონია, რომ ეს ჩვენებურმა გლეხმა შესძლოს წრეულს. ყველგან სიღარიბე, ყველგან სისაწყლე, საითკენაც მიიხედავთ, ზოგის ოჯახში წყალიც არ გათბება ამ დიდ-მარხვაში, მარტო მჭადით იკვებებიან და ლობიოც კი სანატრელია. ადვილად მისახვედრია, რომ ამგვარი საზრდოობა ავადმყოფობას გააჩენს ამ ზაფხულში და მაშინ ხომ დამწვარს მდუღარეც დაასხესო, რომ იტყვიან, ისე იქნება. ერთი სიტყვით, საჭიროა დახმარება, რომ ხალხი სულით არ დაეცეს და გულადათ შეხვდეს წრევანდელს შიმშილობას. საჭიროა ხალხს შეღავათი მისცენ წელს გადასახადების შეტანაში და თუ ფულით არა, სიმინდის იაფად მოწოდებით მაინც აღმოუჩინოს მთავრობამ შემწეობა, თორემ სიმინდი ჩვენში თან-და-თან ფასს იმატებს და მუშტარიც ემატება. როგორც ყოველთვის ამ გვარ შემთხვევაში, ერთი წელში იმართება და სუქდება, ხოლო მეორე წელში წყდება და დატაკდება. ამისათვის სასურველია, დროით მიექცეს ყურადღება ამ გარემოებას.

სიმინდის სიძვირემ და ნაკლებობამ აქეთ, სხვა სიკეთესთან ერთად, ბეღლის ქურდებიც გაამრავლა და ერთი მეორეს ლუკმას აცლიან პირიდან. ამას წინად ს. ჩაგნეშში მოჰპარეს ერთ ღარიბ გლეხს დაკეტილ ბეღელში ტართიანი სიმინდი.

როცა ამაზე მეზობელს შესჩივლა ტირილით, თითქოს იგრძნო ერთმა მათგანმა, გუმანი ჩემზე მოიტანაო, გამოუბრუნდა ხელმეორედ და დანარჩენიც ამოუცალა. ახლა გამოუდგნენ ერთმანერთს და სამეზობლო სამართალს თხოვენ ვახტანგ მეფის კანონზე, მაგრამ გასჭრის რასმეს ეს კანონი თუ არა, ეს ჯერ საეჭვოა.

არც წრევანდელ წელიწადს უჩანს ჯერ-ჯერობით კაი პირი: ნახევარზე მეტმა ზამთარმა უთოვლოდ გაიარა.

ი. კორძელი.

წერილი ალაგირიდან

(საადგილ-მამულო გაჭირვება.—უბედური შემთხვევა)

ამას წინად ვწერდით „ცნობის ფურც.“-ში, რომ ალაგირელი ქართველები, რომლებიც არიან რაჭიდან გადმოსახლებულნი, სახნავ-სათესის მიწის უქონლობის გამო, იძულებულნი არიან იჯარით აიღონ მიწა ამ სოფლის მკვიდრ მცხოვრებთაგან წელიწადში ერთი დესეტინა ექვს-ექვს მანეთად. მარტო ხსენებულის ადგილის სარგებლობას არა სჯერდება და მიდის ალაგირელი ცნობილი მემამულეების თუგანოვების ადგილებში, სადაც ამავე იჯარას აძლევენ მიწის პატრონთ. მარტო თავიანთ თავი არ გახდომიათ ალაგირელებს ასე დღე-დღეობითი შესანახად, არამედ საქონელიც, ურომლისოდაც მათ დღევანდლამდის სული და ხორცი არ შეჰყვებოდათ, ცოლ-შვილს, მტერ-მოყვარეს და სხვათ ვერ გაუძღვებოდნენ. საქონლისთვის საძოვარი მაინც რომ ჰქონდეთ, მაშინ რაღა უჭირდა აქაურს ქართველებს, განა კიდევ იტყოდენ, ადგილები არა გვაქვს, რომ დღიური ლუკმა პური არ გამოგველიოსო? მაგრამ რა ჰქნას ეხლა, როდესაც თავის-თავთან ერთად, საქონლის საძოვრისთვისაც უნდა იზრუნოს და როგორც იქნება, ძვირია თუ იაფი, აუცილებლად უნდა იშოვოს საძოვარი ზაფხულში მის გამოსაკვებად. 1898 წლამდე ალაგირელები მუდამ ზაფხულობით საქონლის საძოვრად რუსებისავე მინდვრებს იღებდნენ, რადგან ახლო იყო და საძოვარის ფასზე ხელი მიუწვდებოდა. ძროხაზე იხდიდნენ—30 კ., ცხენზე კი ორ აბაზს. მაგრამ ხსენებულ წელს ატეხილმა საჩივარმა გათანასწორებისათვის ქართველებისა რუსებთან დაბადა მათ შორის შუღლი და მტრობა, რის გამო რუსებმა 1899 წ. ერთხმად უარი უთხრეს ქართველებს: „თქვენს საქონელს ჩვენს საძოვარ მინდვრებში ამას იქით აღარ გავარეკინებთო“. მაგრამ ამ დროს ქართველებს სწორედ ბედმა გაუღიმა, ქართული ანდაზისა არ იყოს: „ხარმა ხარს ურქინა და საბალახოზე მირეკაო“ (მიდენაო). ნუ იტყვით, თურმე ნახევარი იმ საძოვარი ადგილებისა, რომელსაც რუსები ამდენხანს უკანონოდ უფლობდნენ, სახელმწიფო მიწა ყოფილა. მიწა ჰქონია აღებული აქაურ სამთო-სამრეწველო ბელგიის საზოგადოებას, რის გამო ქართველებმა მიჰმართეს მის წარმომადგენელს დირექტორს ბ-ნ ფილიკოვიჩს, რომელმაც შარშან ზაფხულს ხალხს მუქთად დაუთმო საძოვარი ადგილი. წელს კი ხსენებულმა საზოგადოებამ მადნებში მუშაობას თავი დაანება და ამჟამად არც დირექტორი იმყოფება აქ; ამას კიდევ ის ხმა დაემატა, რომ ვითომც რუსები ჯიბრის გულისათვის იღებენ ამ საძოვარ ადგილებს იმათგან, რომ მით შეავიწროვონ ქართველები. ამ ამბავმა ქართველებიც გამოაფხიზლა და უკვე შეართვეს თხოვნა დირექტორს. იმედი გვაქვს, რომ ფილიკოვიჩი, რადგანაც დაწვრილებით იცის აქაური ამბები, ისევ ქართველობას დაუთმობს საძოვარ ადგილებს თუ მუქთად არა, დაკლებული ფასით მაინც.

დადგა გაზაფხული და თივის სიძვირეც ჩამოვარდა. უწინ თუ ურემი თივა მანეთად ღირდა, ეხლა თივას ვერც 3 მანეთად ყიდულობენ, და თუ ბალახი ადრე არ ამოვიდა, ხალხი დიდს გაჭირვებაში ჩავარდება.

ვინ არ იცის, რამდენი ცუდი შედეგი ჰქონია იარაღთან გაუფრთხილებლობას. ეხლა ხან აქ ერთი უბედურება დატრიალდა. 16 მარტს აქაურმა მცხოვრებმა ოხ—ვმა უცებ სასიკვდილოდ დასჭრა თავისი გასათხოვარი ქალი. ოხ—ს ჰქონია შენახული დატენებული რევოლვერი, ამ დღეს მოუნახავს და წმენდა დაუწყია. თუმცა ტყვიები გამოუღია, მაგრამ ერთი რაღაცნაირად დარჩენია შიგ; ამ დროს იმისი ქალი ოთახს თურმე ალაგებდა, მან ჩახმახს დაუცემინა, ტყვია გავარდა და ქალიშვილს მოხვდა თეძოში და სულ დაუმტვრია. როგორც ამბობენ, ჭრილობა საშიშია. საბრალო მამა 65 წლის კაცია, რომელსაც კიდევ ჰყავს ერთი გასათხოვარი ქალი, ხოლო ვაჟი—არც ერთი.

უცხოეთის წვრილი ამბები

ელისავეტო-გრადის საავადმყოფოში ერთი რაღაც არაჩვეულებრივის, უცნაურის ავადმყოფობით შეპყრობილი ავადმყოფია. ეს არის რკინის გზის სახელოსნოების მოსამსახურე ოსტატი. იმის ავადმყოფობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ყველას მოქმედებას ბაძავს, პირუტყვია იგი თუ ადამიანი, რასაც უნდა სჩადიოდეს: სწერს ვინმე, ავადმყოფიც დაჯდება და სწერს; ახველებს ვინმე—ისიც ახველებს; სტირის ვინმე—ისიც ცხარე ცრემლსა ღვრის სრულიად გულწრფელად; სჭამენ რასმე, სადაც ის არის, ისიც დაიწყებს ჭამას, დაწვება ვინმე დასაძინებლად, ისიც დაწვება და იმწამვე დაიძინებს, თუნდა ეს ამბავი ყოველ ნახევარ საათის შემდეგ განმეორდეს. ეს მიბაძვა, რომელსაც მეცნიერება მიმიკრიას უწოდებს, პირუტყვთა მოქმედებაზედაც გადადის. ასე, რომ ეს ავადმყოფი, ძაღლის ყეფას რომ გაიგონებს, თითონაც ასტეხავს ყეფას; როცა მამალი ჰყივის, ისიც ყიყლიყოსა ჰყივის და სხვ. საავადმყოფოში შევიდა იმიტომ, რომ ამხანაგები მოსვენებას არ აძლევდნენ, გასართობად ჰყავდათ და დასცინოდნენ: შეიყრებოდა მთელი ხროვა იმის ახლო და სხვა და სხვა ხმით რაღეებსაც იძახდენ და იკვლანჭებოდენ,. საბრალომ ამ შემთხვევაში არ იცოდა, რომლისთვის მიებაძა და სულ დავთრები ეკარგებოდა, საშინლად იტანჯებოდა. საავადმყოფოში ხომ ის საცოდავი პირად გაუხდა იმასთან ოთახში მწოლარე ავადმყოფებს: თავის მიბაძვით მოთმინებიდან გამოჰყავდა საწყლები და რომ თავიდან მოეშორებინათ, განგებ დაიძინებდნენ ხოლმე, ისიც დაიძინებდა. თქმა არ უნდა, რომ საავადმყოფომ იმას ვერაფერი ვერ უშველა: მეცნიერებამ ამ გვარი ავადმყოფობის წამალი არ იცის, და ავადმყოფიც, ის საბრალო—ცხადადა გრძნობს თავის უცნაურ სენს და იმასთან საბრძოლველად კი სრულიად უღონოა. რომ მიიღებდენ, ხელ-ახლა შევიდოდა სახელოსნოში და კიდევ სამასხარო გახდებოდა თავისი ბრიყვი ამხანაგებისა. სრულიად ჯანმრთელი კაცია, 35 წლისა.

ამისთანა მოვლენა ძალიან იშვიათად მომხდარა და ისიც ჩრდილოეთ ციმბირში, სადაც ადამიანის სულის ვითარებაზე დიდი გავლენა აქვს გავერანებულ უდაბნოს და მკვდარ ბუნებას, მეტადრე ზამთარში, როდესაც დაუსრულებელი თეთრი თოვლიანი მიდამოები გამოურკვეველის ძალით შეიპყრობენ ხოლმე ადამიანს.

ასე ბძანებენ მეცნიერნი. ჩვენც უნდა დაუჯეროთ, მეტი რა ჩარაა!

* *

ჩინეთის ქვრივმა დედოფალმა ბრძანება გამოსცა, რომ ჩინელი ქალები ფეხებს არ იმახინჯებდენ. ჩინეთში ჩვეულებადა აქვთ ბავშობიდან ქალებს კალაპოტში ჩაუწყობენ ფეხებს, რომ არ დაეზარდოთ, და ამგვარად საშინლად უმახინჯებენ. ბევრი სხვა იარაღიცა აქვთ, რომლითაც ფეხის ზრდას ავიწროებენ. ჩინელი ქალები ძლივს დადიან, წელკავიანი თხებივით, მეტად ვიწრო ფეხსაცმელების გამო. აი ამ ჩვეულების წინააღმდეგი ბრძანება გამოსცა ქვრივმა დედოფალმა, რაც სასტიკად უნდა აასრულონ მეტადრე დიდ და წარჩინებულ საზოგადოების ქალებმა.

მეორე ბძანებაც გამოსცა ქვრივმა დედოფალმა, ჩინელებს ნება ეძლევათ მანჯურიელი ქალები შეირთონ (აქამდის არ შეეძლოთ ჩინელებს მანჯურილი ქალის შერთვა). მანჯურიელები ჩინეთის დამპყრობელთა პირდაპირ შთამომავლად ითვლებიან, და აქედან მომდინარეობს დღევანდელი სამეფო გვარეულობა. მანჯურთა ოჯახებიდან ყოველთვის ირჩევდნენ საპკურისები იმპერატორთა ჰარამხანებისთვის ხასებს.

* *

„ერთი კიდევ გამოჰყავით ენა“! ეს სიტყვები ამ დღეებში თითქმის უცბად ანდაზად გიდაიქცა საფრანგეთში. ეს მასხარობა შემდეგი შემთხვევის გამო შემოიღეს პარიზში. გაზეთ „ფიგაროს“ სიტყვით, ამ დღეებში პარიზის უმთავრესს ფოსტამტში მისულა ერთი ახალგაზდა დიდებული ინგლისელი ქალი (ლედი), რომელსაც თან ახლდა მოსამსახურე-გოგო, ისიც კარგად ჩაცმული. ამ ბრწყინვალე ინგლისელმა ლედიმ ბევრი წერილები მოიტანა თან გასაგზავნად და მარკები. ქალბატონი მოგლიჯავდა მარკას და გოგოს მიუბრუნდებოდა: „გამოჰყავით ენა“ და იმის ენაზე დაასველებდა მარკას და ისე დააკრავდა წერილს. გოგო კი ენას დამალავდა. შემდეგ კიდევ: „ერთი კიდევ გამოჰყავით ენა“! გოგო გამოჰყოფდა ენას და ის კიდევ მარკას დააკრავდა. ამ გვარად განაგრძობდა ქალი. ინგლისელ ქალს და იმის გოგოს შემოეხვია მრავალი ხალხი, რომელიც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხითხითებდა და ხარხარებდა. ინგლისელმა ქალმა კი, თქვენც არ მომიკვდეთ, ყურადღებაც არავის არ მიაქცია და სრულიად დამშვიდებული მედიდურად განაგრძობდა თავის საქმეს: „ერთი კიდევ გამოჰყავით ენა“!

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

21 მარტი

პეტერბურგი. დღეს აქ ჩამოვიდა საფრანგეთის პოლკოვნიკი მარშანი; მას თან მოჰყვება კაპიტანი ბოვალსი.

კიევი. დღეს აქ ჩამოვიდა საერო განათლების სამინისტროს საბჭოს წევრი გენ.-ლეიტ. რეპინი.

კიევსა და მოგილევს შუა ნავოსნობა დაიწყო.

ვარშავა. გუშინ ვარშავის ფილარმონიურს საზოგადოებაში კონცერტს დიტბარობდა გამოჩენილი კომპოზიტორი მასკანიი.

პეტროზავოდსკი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა აქაურის ერობის ხარჯთ-აღრიცხვა 1902 წლისათვის, თუმცა ეს აღრიცხვა აღემატება ნორმალურს.

არხანგელსკი. დღეს ხელი მოაწერეს ხელშეკრულობას საქალაქო წყლის მილის გაკეთების შესახებ, რაც 145 ათასი მან. ჯდება.

ურალსკი. ადგილობრივ საქალებო გიმნაზიის შენობის გასაფართოვებლად გაიღეს 120 ათასი მანეთი.

კალუგა. აწ გაუქმებულის ხელოსანთა მმართველობის უკანასკნელმა საზოგადო კრებამ დაადგინა ხელოსანთა სახლი და თანხები გადასცეს საერო განათლების სამინისტროს და სთხოვოს, რომ ამ საშუალებით დაარსდეს კალუგაში სახელოსნო სკოლა.

სარატოვი. „წითელი ჯვრის“ საგუბერნიო კომიტეტმა მიიღო კიდევ 25 ათასი მან. დამშეულთა დასახმარებლად.

კიევი. საეგზამენო კომისიების თავჯდომარეებათ—პეტერბურგში ფილოლოგიურისა, მოსკოვში ფიზიკ-მათემატიკურისა და ყაზანში ფილოლოგიურისა, დაინიშნენ კიევის უნივერსიტეტის პროფესორები ფლორინსკი, შილერი და კულაკოვსკი.

ეკატერინოსლავი. საბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს ეკატერინოსლავში ტეხნოლოგიურის ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება: „პოლკოვნიკმა დოუღიმ მაცნობა, რომ ცხარე ბრძოლაში 18 მარტს მან ბრძოლის ველზე გაგზავნა დრაგუნთა მეორე პოლკი. დრაგუნები უეცრად დაესხნენ თავს ბურებს, რომლებსაც მალე მშველელი ჯარი მოუვიდათ. დრაგუნებმა უკან დაიწიეს. მაშინ ჩვენი უმთავრესი ჯარი დაიძრა და უკუაგდო მტერი. ჩვენ დაგვიჭრეს 4 ოფიცერი (?); ბურებს ბევრი ჰყავთ მოკლულ-დაჭრილი“.

„მორნინგ პოსტ“-ს ატყობინებენ ბაგდადიდან, რომ ავსტრალიელმა მილიონერმა დარსიმ, სამხრეთ-დასავლეთ სპარსეთში შეიძინა საწარმოებლად სანავთო ადგილები.

კრონშტადტი. ტრანსვაალის მთავრობის წევრები ჯერ კიდევ აქ არიან. საქმეთა მდგომარეობა უცვლელად არის.

ლონდონი. „ტაიმს“-ს ვაშინგტონიდან ატყობინებენ, რომ ამერიკის მთავრობა დაეკითხა გერმანიას მის პოზიციების შესახებ შანტუნში და დამამშვიდებელი პასუხი მიიღო. გერმანიას მიეცა მხოლოდ სამრეწველო კონცესიები და არა მონოპოლია, ასე რომ სხვა სახელმწიფოებსაც თავისუფლად შეუძლიათ იქ ავაჭრონ და სამრეწველო საქმეები გაჩინონ.

პრეტორია. შალკ-ბურგერმა და ტრანსვაალის მთავრობის დანარჩენ წევრებმა მოახერხეს და მოლაპარაკება გამართეს შტეინთან.

ბერლინი. გუშინ ბრიუსელში შეიკრიბნენ ბურების ყველა წარმომადგენლები, კრიუგერისა და ვოლმარანსის გარდა, მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე მოსალაპარაკებლად.

რიგა. გენ.-გრაფი ოლსუფიევი მიტავას წავიდა.

რიგის პოლიტეხნიკუმში არსდება ებრაელ სტუდენტების კორპორაცია.

რიგის ახლო ძველი ფული იპოვნეს, ერთი მათგანი 1077 წელს არის მოჭრილი.

პეტერბურგი. ბირჟის საგექსილო დისკონტი $4^1/_2$—$6^1/_2$-დან $4^1/_2$—6-მდე დასწიეს.

დღეს დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ დაათვალიერა პეტერბურგის მხატვართა მეათე გამოფენა. ამავე დღეს დიდმა მთავარმა დაათვალიერა გამოფენა სურათებისა ჰქენრიხ სენკევიჩის თხზულებათათვის.

22 მარტი.

პეტერბურგი. ოთხ პროცენტიან ჩინეთის სესხზე ხელის მოწერა გათავდა.—შინა მრეწველთა მოღვაწეთა სხდომა დაიხურა.—საქართველოს ეპარხიის პირველი ვიკარი, გორის ეპისკოპოზი კირიონი, ვოლინის ეპარხიის ბალტის ეპისკოპოზად დაინიშნა.

ლოძი. ადგილობრივ სავაჭრო ფირმებს თეირანში და სპარსეთის სხვა ქალაქებშიაც აგენტები გაუგზავნიათ სავაჭრო ხელ-შეკრულების დასადგენად.

ლონდონი. „მორნინგ ლიდერ“-ის სიტყვით, ავსტრალიის ოფიცრებს პიტერსბურგში დატყვევებული ბურები დაუხვრეტიათ. 10 შეუიარაღებელი ბური დამარხილდა. ამბობენ, ვითომც ინგლისელ პორუჩიკის განკოკის ეჭვით მათ 20,000 გირ. სტერლინგი ჰქონდათ. ამ გარემოებამ პორუჩიკს მადა გაუღვიძა. ტყუილ სასამართლოში მისცა ბურები და ბრძანება გასცა ბურები დაეხვრიტათ. მაგრამ ერთი ესკადრონის ჯარის-კაცებმა უარი სთქვეს, ვერ ავასრულებთ თქვენს ბრძანებასაო. შემდეგ ამისა მეორე ესკადრონს უბრძანა და ამ მეორემ აასრულა ბრძანება და დახვრიტა ბურები. მათთან ერთად გერმანელი მისიონერიც დახვრიტეს, რომელმაც იცოდა ეს ამბავი. რამდენიმე ხნის შემდეგ, განკოკი და მორანტიც დახვრიტეს ინგლისის სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით. 10 ჯარის კაცს სამუდამო დაპატიმრება მიუსაჯეს.

ოდესა. ხელ-მეორედ დაარსდა საზოგადოება, რომელსაც აზრად აქვს ახალგაზრდა ქალების მზრუნველობა და დაცვა. საზოგადოებას ექმნება საერთო სადგომი ბინა, წიგნთ-საცავი და გასართობი დარბაზი. საზოგადოების წევრებად მარტო ქალები არიან.

ასხაბადი. 19 მარტს, აქ მიწის ძვრა იყო.

მიუნხენი. შინაგან საქმეთა სტატს-სეკრეტარს პოზადოვსკის აქაურ მინისტრებთან მოლაპარაკება ჰქონდა პურზე ტარიფის შემოღების შესახებ. ტარიფი მომატებული არ იქნება.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.) 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადებანი

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“

სპ. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიოს ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—19)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ორშაბათს, 25 მარტს, გაიხსნება ტფილისში, მადათოვის კუნძულზე,

ფ. ი. ფეცის დიდი მუზეუმი.

მუზეუმში 100-მდე სხვა-და-სხვა საგანია. მრავალი ახალი სანახავი! სცენაზე ბევრი ახალი სანახავია პარიზიდან: 1) დაფნა, დევნილი აპოლონისაგან; 2) გალატეა, მარმალილოს პატარძალი და სხვა. მუზეუმი გახსნილია **ყოველდღე** დილის 10 საათიდან საღამოს 11-მდე; წარმოდგენების დასაწყისი ნაშუადღევის 2-დან. დაწვრილებით იხ. აფიშებში. (20—4)